ოქმი:**ო37.37220601**

თარიღი:**01/03/2022**

ოქმი N 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2022 წელი,

28 თებერვალი

ქ.ოზურგეთი

12.00-13.00 საათი

თავმჯდომარეობდა : დავით დარჩია-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. ბიგვავა, მოადგილეები: ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი; მუდმივმოქმედი კომისიების თავმჯდომარეები: გ. ჩავლეშვილი, ქ. ხომერიკი, დ. ჭაკნელიძე, ბ. თოიძე; ფრაქციათა თავმჯდომარეები: მ. ჩხიკვიშვილი, დ. მჟავანაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ვაშალომიძე, ხ. ცერცვაძე, გ. კილაძე, ე. გორდელაძე, ლ. კილაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი, ნ. ღაჟონია, ბ. მელუა, პ. სალუქვაძე, ს. ქარცივაძე, თ. გოგუაძე, ი. თუთბერიძე, გ. შილაკაძე, თ. ნიკოლაშვილი, ხ. თავდიშვილი, ბ. კილაძე, გ. შარაშენიძე, გ. სირაძე, დ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, რ. დუმბაძე, ბ. ქათამაძე, ნ. მახარაძე, ვ. ნიჟარაძე, თ. ტუღუში, ნ. სარჯველაძე, ტ. მგელაძე, ნ.ქარჩავა.

მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე-გ. ღურჯუმელიძე, მოადგილე ნ. ბოლქვაძე.

საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე, დ. დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამწრეთ, სხდომის გახსნამდე მოკლედ ისუბრა მოძმე უკრაინელი ხალხის თავს დატეხილ განსაცდელზე, მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მთლიანად მოსახლეობის სახელით სოლიდარობა გამოუცხადა და გამძლეობა უსურვა მათ, შემდეგ მისივე წინადადებით, საკრებულოს წევრებმა და დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს დაღუპული უკრაინელი გმირების ხსოვნას. საკრებულოს წევრმა თ.ნიკოლაშვილმა, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სახელით სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და აღნიშნა პრემიერ-მინისტრის განცხადების თაობაზე, გამომსვლელთა ტრიბუნაზე გამოფინა უკრაინის დროშა, სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ სთხოვა სხვაგან გამოეფინა დროშა, რათა ხელი არ შეშლოდა გამომსვლელებს, რასაც მოყვა

კამათი. სიტუაციის განმუხტვის შემდეგ საკრებულოს წევრებს, მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე, 44 საკრებულოს წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 38-მა, საკრებულო უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთი ცვლილებით -მე-4 საკითხად განეხილათ მე-9 საკითხი.

დღის წესრიგი

6.1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ნანა ქარჩავას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 38-ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ და საკრებულოს წევრებმა მიულოცეს ნ. ქარჩავას უფლებამოსილების ცნობა.

7.2. სსიპ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის (ს/კ 237114635) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

დავით ჭაკნელიძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39-ხმით

საკითხის გაცნობამდე გ.ღურჯუმელიძემ სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობას უკრაინელი ხალხის დახმარებისათვის.

3. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის IV კვარტლის შესრულების ანგარიშის მომოხილვის შესახებ“ - განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: პავლე ჭყონია

გელა ჩავლეშვილი

თანამომხსენებელმა პ.ჭყონიამ, საკითხზე საუბრის დაწყებამდე სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და უსურვა გამძლეობა.

საკრებულომ ანგარიში მიიღო ცნობად.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ოზურგეთის მომავლისათვის“ ინფორმაცია შშმ პირთა საზოგადოების ინტეგრაციისა და სოციალური დახმარების სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ.

მომხენებელი : დავით დარჩია

თამამომხსენებელი : სოფო ქარცივაძე

საკრებულოს წევრმა, ს.ქარცივაძემ ინფორმაციის გაცნობამდე სოლიდარობა გმოუცხადა უკრაინელ ხალხს.

საკრებულოს წვრმა ნ.ღაჟონიამ განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტის მერიაში მიმდინარეობს მუშაობა ინფორმაციაში მოხსნებულ პრობლემებზე.

ინფორმაცია საკრებულომ მიიღო ცნობად.

8.5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39-ხმით

თანამომხსენებელმა ლ.ბიგვავამ საკითხზე საუბრის დაწყებამდე სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და უსურვა გამძლეობა.

საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ვადად განისზღვრა 10-სამუშაო დღე.

4.6. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთის დადგენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 6 ივნისის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

გელა ჩავლეშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39-ხმით

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ.ბიგვავამ აღნიშნა,

რომ საკითხი არ საჭიროებს საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენებას.

5.7. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე

ლავრენტი ბიგვავა

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39-ხმით

საკრებულოს წევრმა ბ.ქათამაძემ დასვა შეკითხვა ზედამხედველობის სამსახურის ავტომობილის თაობაზე.

სხდომა საკრებულოს თავმჯდომარის დ.დარჩიას თხოვნით გააგრძელა საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ.ბიგვავამ.

9.8. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

თანამომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე.

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39-ხმით

10.9. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 39-ხმით

სხდომა დახურულად გამოცხადდა

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი